

## უძრავი ქონების ბაზარი... 2014 (9)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის სექტემბრის თვეში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 11.0%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 44 981 ერთეული შეადგინა. ა.წ. სექტემბერი 2010-2014 წლების იმავე თვესთან შედარებით უპირატესი ზრდით გამოირჩევა: 2010 წლის სექტემბერთან (31 592 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 42.4%-ით, 2011 წლის სექტემბერთან (42 283 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 6.4%-ით, 2012 წლის სექტემბერთან (59 009 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - კლება 23.8%-ით და 2013 წლის სექტემბერთან (40 513 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 11.0%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 14.4%-ით გაიზარდა: ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველადი (16.5%-ით), ისე მეორადი (13.9%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2014 წლის სექტემბრის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010 =100) დაფიქსირდა 1.069 დონეზე, რაც აღემატება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (0.963).

ამკარაა, რომ წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა უძრავი ქონების როგორც პირველადი (6.9%-ით), ისე მეორადი (11.9%-ით) ტრანზაქციების რაოდენობა. 2014 წლის სექტემბრის თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 7 595, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 37 386 ერთეული შეადგინა; სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) კი პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით შესაბამისად 0.686 და 1.206 დონეებზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით შემცირდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: ა.წ. სექტემბერში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 83.1%-ს მეორადი, ხოლო 16.9%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენდნენ (2013 წლის სექტემბერში კი - შესაბამისად 82.5% და 17.5%).

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა... სექტემბერი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა  
სექტემბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	სექტემბერი	
		2013	2014
<b>რაოდენობა</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	7102	7595
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	33411	37386
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	40513	44981
<b>სტრუქტურა</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	17.5	16.9
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	82.5	83.1
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-10.7	16.5
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	4.7	13.9
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	1.6	14.4
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-60.2	6.9
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-18.9	11.9
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-31.3	11.0
<b>სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.642	0.686
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.078	1.206
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.963	1.069

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

Վճարահարմարության ցուցանիշի փոփոխությունները... 2010-2014  
Միջին ցուցանիշի համեմատական փոփոխություն (ՀՀ-ում)

